სახალხო გაზეთი

№ 474 სამშაბათი, 13 დეკემბერი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 474

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 20 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან გაგვაბიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ჩამოგლოვიანრო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით ხელმძღვანელობა „სახალხო“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთად.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც გაგვაბიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და გ. მეტეხლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიახნიცკის ქ., ს. ხიტოვის და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მოსტაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. ხალამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრ ოებები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოგზავნა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: სახალხის ქ., დ. ნ. ხარაჯიშვილის სახლი, მიხავალი გზიდან

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად

დამატებანი ნომერი (კვირის) 7 კაპ.

ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლის

„სახალხო გაზეთზე“

ყოველ დღიურ გაზეთის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება

„სურათებიანი დამატება“

(ყვირილი).

პრემიად 1912 წლის წლიურ ხელის-მომწერთ მიეცემა ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი **„ზრდემლი“**, რომელიც „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციამ შეიძინა სრულ საკუთრებად. კრებული დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ დაურიგდება **იანვარშივე.**

გაზეთის ფასი წლით 8 მ. 50 კ. ერთი თვით 75 კაპ.

ხელის-მომწერმა, რომელიც **პრემიის** მიღებას ფოსტით მოისურვებს, გასაგზავნ ხარჯად უნდა გამოგზავნოს ხელის-მოწერის ფასთან ერთად კიდევ **ექვსი შაური.** ქუთაისისა, ბათომისა, სოხუმისა, ფოთისა, **გორისა** და თელავის ხელის-მომწერნი მიიღებენ **პრემიას** ადგილობრივ აგენტთაგან.

ხელის მოწერის პირობები:

1) წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი (8 მ. 50 კ.) შეუძლიანთ გადაიხადონ ნაწილობით მხოლოდ შემდეგ ვადებზე: ხელის მოწერისათანავე 3 მან.; 1 მარტამდე—2 მან.; 1 მაისამდე—2 მან. და დანარჩენი 1 მ. და 50 კ. 1 ივლისამდე.

2) გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლ. გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „სახალხო გაზეთის“ კანტორაში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან), რომელიც ღია ა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა და უქმეებისა. 20 დეკემბრიდან-კი ღია იქნება: დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე, კვირაობით და დღესასწაულებში დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

2) ქ. ზ. წ. კ. ს. მოავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში: სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლა.

3) ფოსტით: Тифлисъ, груз. газ. „Сахалхо Газети“, п. ящ 190.

წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ: წიგნის მაღაზიებს, რომელნიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს 29 დეკემბრისა საკომისიოდ მიეცემათ 5%.

ნინო ნიკოლოზის ასული და ლავრენტი ივანეს ძე შატბერიშვილნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 13 დეკემბერს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დანიშნულია წლის პანაშვიდი

ნატალია ნიკოლოზის ასულის **წერეთლის**

სულის მოსახსენებლად. (1—1636—1)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 13 დეკემბერს

ბენეფისი დ. ი. ბაძრაკაძისა

ათი წლის სახალხო სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე გამართავს წარმოგენას.

წარმოდგენილი იქნება

I

ქოჩრიანი ტოროლა,

პიესა 4 მოქმ. ვილგენბრუსნისა—თარგ. ტოროშელიძისა.

II

დედის ერთა | ვოდევილი გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ანტუანეტა, ანკარა, გოგოლაშვილი, გარე-კაბელი, ლეკვა, ბბ. ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, ინაშვილი, მეტრეველი, ხარაული.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12-დან 2-ის და 6-დან 8 საათამდე. დასაწყისი ხალ. 8 საათზე. ადმინისტ. ან. ჭიაბერაშვილი, რეჟ. ალ. წულუკიძე. ადგილების ფასი 1 მ. 50 კაპ. 15 კ. 2—1590—1 მოწ. წევ. გამგ: კ. წაბანაშვილი.

ახალი კლუბი

სამშაბათს, 13 დეკემბერს, 1911 წელს

საოჯახო საღამო

წარმოდგენილ იქნება რუსულ ენაზედ:

1. **ხოფლის პატიოსნება.**

ოპ. 1 მოქ. მასკანისა, მონაწილეობას იღებენ ქ.-ბნნი **მიხაილოვიჩი, ხლებოვსკაია შენგერაია** და ბ-ნნი **ბრაოკი** და **ნავეტი.** იდირიჟორებს **პოლ. ფალიაშვილი.**

2. **ხალანცერტო განყოფილება.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ.ბ. შერეტევეტვილი, ბროკი და ორკესტრი. იდირიჟორებს **ხ. ი. ბრეხმანი.** დასაწყისი საღ. 9 ს.

ადგილების ფასი თეატრში 1 მ. 50 კ, 40 კ—მდე. გალერეაში ადგილები განსაკუთრებით მოსწავლეთათვის არის გადადებული, ფასები 40—10 კ—მდე. სტუმრები იხდიან: კაც. 1 მ., ქალ. 50 კ., სტუდ. 25 კ.

ანონსი: შაბათს, 17 დეკემბერს, „დამე იყვარულისა“. (2—1608—2)

ზუბალაშვილების სახალხო სახლი

კვირას, 18 დეკემბერს (დილით), 1911 წ. ი. გრიბაშვილის მიერ გამართული იქნება

ლიტერატურო დილა სამს განყოფილებად.

I. ლექციები ქართულად:

1) **გიორგი გვანცაძე** წაიკითხავს ლექციას: ტოლსტოის „**ცოცხალ გვამზე**“

2) **ხარგის კაკაბაძე** წაიკითხავს ლექციას: **„როგორ შესდგა ქართველი ერი“**

II. დეკლამაციები, მოთხრობები, კუპლეტები და სიმღერა:

კუტუ ყიფიანი: „**ადე ჩვენი ქალაქი რა ოიგად გამოგვლილა**“, ბ. ახოსაბირელი „**ნანი-ნანა**“, ქ-ნი ფქვიტი „**ბიქელ ანჯელო**“, თ-დი კოლა ბერიძეანი **„ანდგილი-ნანა“**, ბ. ანაშვილი, ბაქრაძე, გოცირიძე, ინაშვილი, მეტრეველი, ხარაული. **„ბენეფისი“**, ბ. ნემო (ქუთაური მხატვრები) „**ინერგელ-ეგრაულური სცენები**“.

III. ეგანყოფილება:

ალ. წულუკიძე „**ტყემიდ**“ ია ეგალაძისა, **ბ. მაყაშვილი „ამირანი“**, ა. ადამიძე „**კინტაური სცენები**“, ვ. ყიფიანი „**მთვრალი ინდაურები**“, ოზიკო ბარათაშვილი „**ხიმდგრა თარზე**“, ი. გრიმაშვილი „**ოლ-ოლ**“ ბ. ხაგარეული და **ნ.** კოგიერიძე ინდგრეშენ ახალ კუპლეტებს „**ვაი-ვეის**“ ხმაზე.

ადგილების ფასი 5 კ—დან 50 კ—მდე, დასაწყისი ნაშუადღევის 1 საათზე, ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. გამგე ბ. ახოსაბირელი. (1—1636—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებული ეკლესიისა და დიდების მომავალ ხიდის მახლობლად დაიკრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი გადი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ.—1147—194

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

წამლობა ფლაქისა ფილტვებისა, მკერდისა, და სხვა ორგანოთა

ტუბერკულინი.

მინაკან ხმენულებით ავადმყ. მიიღება ყოველ დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, N 10. ტელეფ. 792. (თ 100—1534—55)

„ძმ. სეილანოვეზი“-ს

ახლად გახსნილ საქარხნო მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტი, სახ. ზუბალაშვილისა, № 8.

განსაკუთრებით ვურჩევთ მოიკითხოთ

თუთუნი „ეგვიპტისა“,

შეუდარებელი შერჩეული ხარისხისა

გირვანქა—2 მ. 40 კ. დან—10 მანეთამდე.

თუთუნი, სიგარები და პაპიროსები, როგორც რუსეთის, ისე სახლვარ-გარეთის საუკეთესო ფირმებისა 10% დაკლებით.

ათასგვარი ხელსაწყო თუთუნის წევისა. (100.1622.4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილებაა

მოყოლებილი 50 საფულით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტ-ცელის“ სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

ტაციონალურ ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, მხოლოდ გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმი-ქალი **ვერბიცკაია-ფირადოვაია**

ლ. ე.—სამშობიარო და ქალის სნეულ. ყოველ დღე 11—12 ს.

ვალევანიშვილი მ. ა. ნერვ. და ელექ., ოთხშაბ., 10½—11 ს.

დავითაია ა. ხ.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

ზადაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და ბ. 10—12 ს.

ბოგოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშაბათობით ოთხშაბ. 9—10 ს.

ვანსოვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., პარასკ. 2—3 ს.

მუხინეშვილი ვ. ხ.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. ½—2½ საათ.,

მზარეულიანი მ. ი.—კანისა და ვენერ ყოველ დღე, 1—1½ ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური ლ ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

ექიმი ბ. არდაზიანი მინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. დილეტვების ხნეულება, ხიხლის ნაკლულება, რეგმატიზმი—ტარებ). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, N 3. დილის 9—12 ს. საღამოს 5—7. (25.899.35)

ექიმი ვ. ფუხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9—11 საათ. დიდი მთავრის ქუჩ., N 67, სახლი ხვანიშვილისა.

ექიმი ვ. ნ. ფაბაკიანი მინაკანი და ბავშვთა ავადმყოფ. ბპეციალიტი ავადმყ., ყელისა და წელვებისა. მიღება დილ. 10—11 ს. (ბავშვ.) და 5—7 ს. (საზოგ.). მიხვილის პროსპექ. N 36. ტელეფონი 328. 25—1462—92

ექიმი ნ. ტ. ფულინი ყელისა, ცხვირისა და ყურის ავადმყოფების მიღება დილის 12—1 საათამდე საღამოს 6—8-მდე. სეგრეევის ქ. 3. (თ.—1545—45)

ექიმი შ. ა. ბიძელაძე იღებს **მინაგან და ბავშვთა** ყოველ დღე ხალამოს 5 ს.—8 ს. ხაათამდის

ექიმი ალ. ბ. ბ. ბ. ბ. ... ...

ეროვნული უთანხმოება საქალაქო არჩევნების დროს უწინაცა ყოფილა და ეხლაც არის. დიდს გულუბრყვილობას გამოვიჩენთ, თუ ვიფიქრებთ, რომ ამ ახლო მომავალში იდილიური თანხმობა დამყარდება ერთა შორის და სადავო ადარაფერი გვეკნება. პირიქით, ის უფრო მოსალოდნელია, რომ ეროვნული უთანხმოება შემდეგში უფრო გაძლიერდება და უმაღლეს მწვერვალს მიაღწევს. ისიც არ იქნებოდა მართალი, თუ მთელ ჩვენს იმედებს დავამყარებდით ისეთს საშუალებაზე, როგორიცაა ყველა ერთ შეკავშირება კერძო შემთხვევებში, ამ ჟამად კი საქალაქო არჩევნებში ამ ნაირმა საშუალებამ შეიძლება შეჰქმნას მხოლოდ ილიუზია სოლიდარობისა. რამდენადაც უფრო მეტს იმედებს დავამყარებთ ამ სოლიდარობაზე, იმდენად რეალური უთანხმოება უფრო დაიჩრდილება, მაგრამ ამასთანავე ერთად უფრო საშიშიც გახდება. ვისაც საზოგადოებრივ სნეულების დოსტაქრობა ჰსურს, თვალ-ხილულად უნდა შეხედოს სინამდვილეს და არ შეჰკრთეს, თუნდაც ამ სინამდვილემ მახინჯი სახე დაანახოს.

ქართველებსა და სომხებს საქალაქო არჩევნების გამო ხშირად მოჰსვლიათ უთანხმოება, ხოლო საერთო ხასიათი და მიზეზები უთანხმოებისა ყოველთვის ერთნაირი არა ყოფილა. უწინ, მაგალითად, ქართველებს გამოუთქვამთ უკმაყოფილება იმის გამო, რომ სომხები ჰბატონობენ ტფილისში, საქართველოს დედა-ქალაქში, და თვით ქართველები კი, ასე ვთქვათ, სტუმრის როლსა თამაშობენ. ამ შემთხვევაში უთანხმოების უმთავრეს იმპულსად ეროვნული თავმოყვარეობა უნდა ჩაითვალოს. თანდათან სურათი იცვლებოდა. ნელ-ნელა, მაგრამ მაინც სისტემატიურად ტფილისში იზრდებოდა ვაჭარ-მრეწველთა კლასი. ამ კლასისთვის ქალაქის თვითმმართველობა უკვე ეროვნულ თავ-მოყვარეობის საბიელი კი არ არის, არამედ ეკონომიურ ინტერესებისა. ეს ეკონომიური ინტერესი დღეს მტკიცედ არ არის შეგნებული ამ კლასის მიერ, რადგანაც თვით კლასი სოციალურად მტკიცედ ჩამოყალიბებულ ერთეულს არ წარმოადგენს. შემდეგში, როდესაც ქართველობაც გამოვა ეკონომიურ კონკურენციის საბიელზე, სომეხ-ქართველთა უთანხმოებას რეალური, ეკონომიურს ნიადაგზე აღმოცენებული უთანხმოება დაედება საჩრულად. მაშინ იდილიურ თანხმობის დამყარებას ვედარც იმგვარ საშუალებით მოაბერებთ, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდით. ასეთ სიმპტომებს ეხლავე ვხედავთ. ქართულ ბურჟუაზიის ჩანასახი, რომლის ხმაც ამ უკანასკნელ არჩევნების დროს ისმოდა, გაიზრდება და ახალს ელფერს მისცემს სომეხ-ქართველთა ურთიერთობას ტფილისში კერძოდ და, თუ გნებავთ, მთელს საქართველოში საზოგადოდ.

ქართველ ახალგაზდა ბურჟუაზიის გამოსვლა ეროვნულის დროშით ახალი მომენტია საქალაქო არჩევნებში. რანაირი იყო ეს გამოსვლა, რა შედეგი მოიტანა მან, ან რა შეცდომები ჩაიდინა—ყველა ამაზე წერა ამ ჟამად მეტად მიგვაჩნია, რადგანაც უკვე ბევრი რამ დაიწერა ამის გამო. ამ ჟამად ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ფაქტი ქართულ ბურჟუაზიის გამოსვლისა საქალაქო არჩევნების საბიელზე. წრევანდელი საქალაქო არჩევნები მართო ამ მხრით არ არის საინტერესო. თვით სომეხთა წრეებშიაც თავი იჩინა საყურადღებო დიფერენციაციამ. მიმდინარე არჩევნებში, მაგალითად, დიდს როლსა სთამაშობდა სომეხთა ვაჭარ-მრეწველთა კლასი. ქართველ საზოგადოების ერთს ნაწილში ისეთი აზრია გამეფებული, თითქოს მთელი სომხობა საზოგადოდ მხოლოდ იმ ერთი აზრთაა გამსჭვალული, რომ ყველგან და ყოველთვის ქართველები სდევნონ. ჩვენის აზრით, ეს გადამეტებულ ეჭვიანობის ბრალია. მართალია, სომხის ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ცხადი ნაციონალისტური ელფერი გადაჰკრავს, ისიც მართალია, რომ ძალიან ხშირად იგი უკიდურეს ნაციონალისტურ პოლიტიკას აწარმოებს, მაგრამ მათშიაც არის ნაწილი, რომელსაც გულწრფელადა ჰსურს ყველა ერთა შორის ისეთი ურთი-ერთობის დამყარება, რომელიც საშუალებას მისცემს თვითოეულ მათგანს თავისუფალ განვითარებისას. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. როდესაც ორი ერი მეზობლადა სცხოვრობს, ერთხელაც არის ორივემ უნდა გამოსძებნოს საერთო ნიადაგი მოქმედებისა. თუ ეს ასე არ მოხდა, ცხოვრება დაუსრულებელ ბრძოლად გადაიქცევა, ისეთს ბრძოლად, რომელიც ხეირს არ დააყრის არც ერთს მხარეს. ასეთი სიღი ნაწილი ჩვენ გვეგულება სომხის საზოგადოებაში და იმედიცა გვაქვს, რომ დადგება დრო, როდესაც ჩვენ გავიგებთ ერთმანეთის აზრსა და მისწრაფებას. მაგრამ ყველა ეს შემდეგში მოხდება, დღეს კი ჩვენს თვალ-წინ სულ სხვანაირი, სწორედ ამის საწინააღმდეგო სურათი იშლება.

ჯერ ისევ თელავისა და ეხლა კი ტფილისის არჩევნებმა დაგვანახვა, რომ ბურჟუაზიული კლასი სომხობისა უკიდურეს ნაციონალისტურ პოლიტიკას მისდევს. დღეს იგი, როგორც ეკონომიურად ღონიერი კლასი, ჰბატონობს ქალაქის თვითმმართველობაში, სარგებლობს ამ გაბატონებულ მდგომარეობით და თავის პირობებს უკარნახებს სხვა ერებს. თელავისა და ტფილისის არჩევნებმა დაგვანახვა, რომ სომხის ბურჟუაზია აღარა ჰმორცხვობს, აღარა სწითლდება, როდესაც გაბატონებულ მდგომარეობას თავის ნაციონალისტურ მიზნების განსახორციელებლად იყენებს და თამამად ეუბნება ყველას: მე დღეს ბატონი ვარ და კიდეც ვისარგებლებ ჩემის ბატონობითაო. ეს არის ხმა სომხის ბურჟუაზიისა, სომხის ვაჭარ-მრეწველებისა. ბურჟუაზიული ინტელიგენცია ასე გაბედულად ვერა ლაპარაკობდა, თუმცა გულის მიყრუებულ კუნჭულებში ასეთსავე ცანზრახვას ატარებდა. ამ ინტელიგენციასა ჰსურდა გარეგნულად მაინც შეენახა უმნკოება და მახინჯს სახეს ინტერნაციონალურ ფერ-უმარილით ითხუპნიდა. წრევანდელ არჩევნებში სომხის ვაჭარ-მრეწველებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს და ერთბაშად, ცხადად გამოაშკარავეს თავიანთი გულის ნადები. სომხების ვაჭარ-მრეწველთა ეს ტენდენციაც გაიზრდება, გამაგრდება, იგი ძლიერი იქნება არამც თუ ეხლა, როდესაც მახინჯი საარჩევნო უფლება მათ უპირატესობას ანიჭებს, ძლიერი იქნება იმ შემთხვევაშიაც, თუ საქალაქო არჩევნების სისტემა შეიცვალა და მცხოვრებთა დემოკრატიულ ნაწილსაც მიანიჭეს საარჩევნო უფლება. ძალთა ურთი-ერთობა მაშინ შესამჩნევად შეიცვლება, მაგრამ სომხის ბურჟუაზიის ხმა ისეთივე ნაციონალისტურად დარჩება. თვალსაჩინო გამოსვლა სომეხთა ვაჭარ-მრეწველებისა საარჩევნო სარბიელზე, გამოაშკარავებული ნაციონალიზმი ამ კლასისა ჩვენ ახალ მომენტად მიგვაჩნია. წრევანდელ საქალაქო არჩევნებში ამ გარემოებას თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, და ჩვენც განსაკუთრებულის გულისყურით უნდა მოვეკიდეთ მას.

ახალ მომენტად უნდა ჩაითვალოს აგრედვე რუსების გამოსვლაც წრევანდელ არჩევნებში რუს მცხოვრებლებს, თუ მახლობელ წარსულსაც გავიხსენებთ, განსაკუთრებული პოზიცია ეჭირათ. რუსები ჩვეულებრივზე მეტად დაინტერესდნენ არჩევნებით და დღესაც განაგრძობენ იმ გზით სიარულს, რომელიც თავიდანვე აირჩიეს. ეს გარემოებაც იმდენად საყურადღებოა, რომ ცოტა ხანს შევჩერდებით მის დახასიათებაზე. მაგრამ ამაზე შემდეგ.

არ. ჯ—შვილი.

საგელმწიფო სათათბირო

დ ე ბ ე ს ე ბ ი

10 დეკემბერი.

ი-დი კოდკონსკი თავმჯდომარეობდა. წაიკითხეს განსახილველ საგანთა სია, სხვათა შორის, 32 დეპუტატისაგან ხელმოწერილი საკანონმდებლო მოსაზრება სტავროპოლის გუბ. კავკასიის ოლქიდან გამოყოფისა და ხარკოვის ოლქისავის შეერთების თაობაზე. შემდეგ მიიღეს 50 პროექტი, სხვათა შორის, ისიც განათლების სამინისტროს პირველ დაწყებით სწავლის საჭიროებისათვის მისცეს, გარდა წინანდელ 7 ძილიონისა, კიდევ სამი მილიონი მანეთი. მოუსავლობით დაზარალებულ კაზაკთათვის გადასდეს 500 ათასი მანეთი. ხარჯთაღრიცხვით კომისიამ სასურველად სცნო ამ ფულის განაწილებაში მონაწილეობა მიეღოთ ადგილობრივ დაწესებულებათ და დახმარების აღმოჩენის დროს ყოველივე წარმოებული ხარჯი დაწვრილებით ინუსხებოდეს.

საქაციზო მოხელეთათვის სამგზავრო ფულის მიცემის წესის საკითხის გამო გადასწყვიტეს, არსებული წესი გადავშინჯოთ და მოხელეებს მხოლოდ გავლილ მანძილის მიხედვით ეძლეოდეთ ფულიო.

თერგის საოლქო სამმართველოს შტატის შეცვლის თაობაზე სათათბირომ მიიღო ფორმულა, რითაც აღნიშნა, რომ საპოლიციო საქმე იქ წესიერად არ არის დაყენებული და სურვილი გამოსთქვა მისი არსებითად შეცვლისა.

შემდეგ მიიღეს კანონპროექტი ციმბირში სამურზე ნაღირობის ვადის განსაზღვრისა.

მოხალისეთა ფლოტისა კანონპროექტის მუხლობრივ განხილვა გადასწყვიტეს, მაგრამ თვით განხილვა კი იანვრისთვის გადასდეს.

რომანკინ თავმჯდომარეობს.

ნიკოლსკი რიგის გარეშე ლაპარაკობს და ხელოსანთა დასვენების კანონ-პროექტის საჩქაროდ განხილვას მოითხოვს.

თავმჯდომარე. მესამე სათათბიროს მუშაობის შეწყვეტის გამო უმაღლესად ბოძებული ბრძანება მოისმენეთ.

ი-დი ვოდკონსკი კითხულობს უმაღლეს ბრძანებას: სახელმწიფოს ძირითად კანონების მე-99 მუხლის ძალით ვბრძანებთ სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის 10 დეკემბრიდან შეწყვეტას და მის განსაახლებლად 1912 წლის 10 იანვარს ვნიშნავთ. უმაღლესი სენატი არ დაიყოვნებს მოახდინოს შესაფერი განკარგულება. ნამდვილს მისის იმპერატორებითს უდიდებულესობის ხელით აწერია: „ნიკოლაოზი".

სათათბიროს თავმჯდომარე რომანკინ და წევრნი „ურას" ძახილით შეხვდნენ ბრძანებას.

შემდეგი სხდომა 10 იანვარს მოხდება.

დეპეშები

(საგუთარ კორესპონდენტებისაგან).

ქუთაისი. „კოლხიდის" რედაქცია სულიერად თანადამსწრეა დაუვიწყარ ნატოს ძეგლის კურთხევაზე.

ეჩმიაძინი. დღეს ბრწყინვალე წირვის შემდეგ, 11 საათზე, იზმირლიანის სამარეზე პანაშვიდი გადახდეს; დაესწრნენ სასულიერო და საერისკაცო დელეგატები, გუბერნატორი ტიზენჰაუზენი, მაზრის უფროსი უსდი, ბრალმდებელი და აუდიტორები. მღვიერელი იყო ეპისკოპოსი სმბათი; სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა თორლომ. ოსმალეთიდან მოსულმა დელეგატებმა განსვენებულის სამარე გვირგვინით შეამკეს. **ყალანთარი.**

ეჩმიაძინი კვირას დილით არჩევნები ჩვეულებრივ ცერემონიით დაიწყო. არხიეპისკოპოსის სურენიანისა და გუბერნატორის ტიზენჰაუზენის მეთაურობით 114 დეპუტატი ტაძრისკენ გაემართა. ეკლესიაში ხელმწიფე იმპერატორის დღეგრძელობის პარაკლისი იქმნა გადახდილი. არქიეპისკოპოსმა სურენიანმა 54 საერო დელეგატი დაფიცა. საარჩევნო ბრძოლა მწვავდება. ორმანიანის კანდიდატურის წინააღმდეგნი თხოულობენ, რომ იგი ოთხ კანდიდატთა სიიდან გამოირიცხოს. მომხრენი კი გადაჭრით აცხადებენ, რომ იგი სიაში უნდა დარჩეს. ამასთანავე ერთად აცხადებენ პროტესტს, ამბობენ, რომ არჩევნები უწესოდ მოხდა. წინააღმდეგ შეთხვევაში იმათა ჰსურთ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადონ. ორმანიანის მომხრენი ჰრინციპიალურს ნიადაგზე სდგანან. იმათის აზრით, საქმე ისე ყოფილა მოწყობილი, რომ შეუძლებელია არჩევნები თავისუფლად, სინიდისის ქვეშ მოხდეს.

ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ **საქალაქო არჩევნების შედეგი.** კვირას, 11 დეკემბერს, მეოთხე და მეხუთე საარჩევნო უბნებში დამატებითი არჩევნები მოხდა. მეოთხე უბანში ასარჩევი იყო ორი კანდიდატი. აირჩიეს ოთხი კაცი: ი. ა. თამამშევი (47—8), ი. ს. ნესმაშნი (41—14), ს. ა. ვართაზარიანცი (38—17) და მაშადი.ალი ყულიევი (29—26). მეხუთე საარჩევნო უბანში ასარჩევი იყო 8 ხმოსანი და 4 კანდიდატი. არჩეულ იქმნენ 3 ხმოსანი და 5 კანდიდატი; ასარჩევი დარჩა 5 ხმოსანი, რომელთა ალაგს კანდიდატები დაიჭერენ, რადგანაც საქალაქო დებულების ძალით მეორედ აღარ შეიძლება დამატებით არჩევნების დანიშვნა. ხმოსნებად არჩეულ იქმნენ: ი. ი. მინკევიჩი (149—109), ბ. ა. პოპოვი (139—120) და ს. ფ. ხუნდაძე (144—114). კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: ნ. ნ. ოსტროვსკი (181—78), შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი (152—105), გ. ჰ. მელიქ - კირაკოზოვი (159—109), ა. გ. ბებურიშვილი (140—118) და გ. ი. კრისტელი (131—127). გაშავებულ იქმნენ: თ. ჰ. აგაბეკოვი, ა. მ. ახნაზაროვი, პ. ა. ბეირი, ა. ზ. ბერელაშვილი, მ. მ, ბელიაევი, თავ. ნ. მ. ვეზიროვი, ფ. გ. გოგიჩაიშვილი, ი. ი. გოკიელოვი, ა. ს. ღულაძე, ი. დ. გულისაშვილი, კ. ი. ჯაფარიძე, ნ. მ. მელიქოვი. ჰ. კ. მიმინაშვილი, ვ. ა, მჭედლიძე, ა. ნ. სეილანოვი, ჰ. გ. ტერ-გევონდიანცი, გ. ი. ცერცვაძე და გ. წულუკიძე.

◆ **ნამეხტნიკის სიბჭოს** კრება 14 დეკემბერს მოხდება. განსახილველი აქვს 4 საქმე

◆ **ნატო გაბუნია - ცაგარლის ძეგლის კურთხევა.** კვირას, 11 დეკემბერს, მსახიობ-ქალის ნატო გაბუნია ცაგარლის საფლავზე ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით გადახდილ იქმნა პანაშვიდი და შემდეგ ძეგლი აკურთხეს. დაესწრნენ: დრამატიულ გამგეობის წევრნი, ქართველი მსახიობნი, ქართულ საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და მრავალი პატივისცემელი განსვენებულის ხსოვნისა. საფლავზე დროის შესაფერი და მეტად გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მსახიობმა ვლ. ალექსი-მესხიშვილმა. ამავე დღეს, საღამოთი, ქართულს თეატრში განსვენებულ მსახიობ-ქალის ხსოვნის ალსანიშნავად წარმოდგენა გაიმართა.

◆ **სალიტერატურო და სამუსიკო საღამო.** 10 დეკემბერს, ქართულ თეატრში მ. წულუკიძის თაოსნობით სალიტერატურო და სამუსიკო საღამო გაიმართა. ლექციები წაიკითხეს დ. კასრაძემ „სიმპტომები ქართულ ლიტერატურის დაცემისა" და მ. წულუკიძემ „ილ. ჭავჭავაძის განდეგილი". ორივე ლექცია სუსტი აღმოჩნდა, განსაკუთრებით დ. კასრაძისა, რომელმაც ლექციის რიგიანად გადმოცემაც ვერ შესძლო. მეორე განყოფილებაში თავისი ნაწარმოებანი წაიკითხეს: აბაშელმა, გ. ამირეჯიბმა, ახოსპირელმა, ახრახაძემა, ქუჩიშვილმა, კ. მაყაშვილმა და ს. მგალობლიშვილმა. ამ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს აგრედვე ტფ. დასის არტისტმა ვ. მატარაძემ, რომელმაც ლექსები წაიკითხა და ქუთათურმა სტუმარმა მსახიობმა ნემომ, რომელმაც სცენები წაიკითხა. დაასრულა ცოცხალი სურათები დასდგეს, რომლის დროს ვ. სარაჯიშვილმა იმღერა. სხვათა შორის, დადგმულ იქმნა სურათი „ბეთჰოვენის შემოქმედებისა". ხალხი ბლომად დაესწრო.

◆ **ტფილისის უნივერსიტეტი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში 4% სახელმწიფო რენტიის 100,000 მანეთი შეიტანა, რომელიც გადასდო ტფილისის უნივერსიტეტის თვის. გმგეობამ ამასთანავე პირობა დაუდო მთავარ საუნივერსიტეტო კომიტეტს, რომ ამ ფულს უკან აღარ გამოიტანს, თუ 5 წლის განმავლობაში უმაღლესად ნებადართულ იქმნება ტფილისში უნივერსიტეტის გახსნა.

◆ **მომღერალი ქალი ელენე თარხნიშვილი** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ სიმართლეს მოკლებულია ის ცნობა, ვითომც მას გადაეწყვიტოს ახალ კლუბში ვანო სარაჯიშვილთან ერთად „ტრავიატა"-ში გამოსვლა.

◆ **შეიპყრეს** ტფილისში სიკო კაპარაშვილი, რომელსაც გორის პაზრის სოფელ ლამისყანაში ჩაფრის ძოკვლა ბრალდება.

◆ **ექსკურსია.** საშობაოდ ალექსანდრეპოლის ოლგას საქალებო გიმნაზიის მოსწავლენი, რიცხვით 29 კაცი, ტფილისში ჩამოვლენ.

◆ **მძარცველის შეპყრობა 1910** წლის 9 მაისს ტფილისში შეპყრობილ იქმნა 19 კაცი, რომელიც ტერორისტ-მძარცველთა ბრბოს ეკუთვნოდა. ეს ბრბო დიდხანს თავზარს სცემდა მთელს კავკასიას. დაჭერის დროს მათ მრავალი იარაღი და 8 გატენილი ყუმბარა უპოვეს. ბრბოს ერთი მეთაურთაგანი, რომელსაც მეტ სახელად „მეჩექმე გრეგინას" ეძახდნენ, პოლიციას ხელიდან გაუძვრა და აქამდე იმალებოდა. მიმდინარე წლის სექტემბერში ტფ. მაძებარ პოლიციის უფროსმა საიდუმლო ცნობა მიიღო, „გრეგინა" განჯაში იმალებოთ და განჯიკ მაძებარ პოლიციის უფროსს აცნობა, რომელმაც გარეგინა შეიპყრო და ტფილისში გამოგზავნა. იგი აღმოჩნდა ტფილისის მცხოვრები თათეოს ავეტისას ძე ბაბასიანცი.

◆ **ტფ. ჭ. რ. პატრიოტულ საზოგადოებას** გუბერნატორმა ნება დართო, ტფ. მცხოვრებთა შორის ღარიბთა სასარგებლოდ ფული შეაგროვოს და 20 დეკემბერს, იოანნე კრონშტატელის გარდაცვალებ-ს წლის თავზე, სადღილი გაუმართოს ამავე ღარიბებს.

◆ **ტფილისში შეამურეს:** 10 დეკემბერს—92 უბსშორტი, ხოდო 11 დეკემბერს—10.

◆ **11 დეკემბერს,** ვერის დიდმარხზე კაცია ყოდაშვილის სათორნეში ბოქტორ ეძგერაძემ დანით მარჯვენა ფეხში დასჭრა ინთიმის ყოდაშვილი, რომელიც მიხვიდის სასვადმყოფოში წაიყვანეს. დამნაშავე შეიპყრეს.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ტფილისის სამოსწავლო ოლქის სამღვდელოების კრება** 9 დეკემბერს დაიწყო სასულიერო სასწავლებლის შენობაში. კრების თავჯდომარედ არჩეულ იქმნა ყარსის ტაძრის დეკანოზი ნ. კომარი, ხოლო მდივნად ერევნის ტაძრის წინამძღვარი ალ. პისემსკი. კრებას მოხსენდა საკითხი იმის შესახებ, რომ შეძენილ იქმნას სასულიერო სასწავლებლის საჭიროებათათვის ნურალოვის ადგილი, 453 ოთხკ. საჟენი, რომელიც სასწავლებელს გვერდზე აკრავს და რომელსაც ადგილის პატრონი 30,000 მან. აფასებს. კრებამ ამ საკითხის დადებითვნებლიელ გამოსარკვევად საგანგებო კომისია აირჩია, რომელშიაც შეივიდნენ: დეკანოზი ნ. კომარი, დეკანოზი ალ. სვიმონიშვილი და მღვდლები: ა. ჯალიევი და ვ. კარბელაშვილი. 10 დეკემბერს კრება სასულიერო სასწავლებლის 1912 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვას შეუდგა.

◆ **ძველ ენების მასწავლებელთა კრებაზე** დასასწრებლად, რომელიც 27 დეკემბერს პეტერბურგში უნდა მოხდეს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა საოლქო ინსპექტორი ლ. გ. ლოპატინსკი და ვაჟთა მეორე გიმნაზიის დირექტორი გ. ფ. დრბოგლავი აირჩია.

სასაყვარეულო.

◆ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია,** რომელიც ყარსს, გუმბრსა და ერევანში იყო, ტფილისში დაბრუნდა.

◆ **ტფ. სამოსამართლო პალატის სესია,** რომელიც ბაქოს იყო წასული, 11 დეკემბერს ტფილისში დაბრუნდა. მასთან ერთად დაბრუნდა პალატის უფროსი თავმჯდომარე ბ-ნი ლაგოდა.

კ ა ვ კ ა ს ი ი

◆ როგორც დეპეშათა სააგენტო კავკაზიდან იუწყება ვედენის ოლქის უფროსმა კარალოვმა (ყარალაშვილი?) ხორჩევის მთებში გამოქვაბულში მოიმწყვდია ცნობილი ყაჩაღი ზელიმხანი და ალყა შემოარტყა; სროლის დროს ორი დარაჯი მოუკლეს, 4 დაუჭრეს. გამოქვაბულის კარი ამოქოლილია, მის ასაფეთქებლად შესაფერი მასალა დაიბარეს.

ნატო გაგუნია-ცაგარლის ძეგლის კურთხევაზე.

(შთაბეჭდილებანი).

„შესწყდა სიცოცხლე ნიჭით სავსე,
ღვთისგან ცხებული,
შესწყდა სიცილი ცრემლ-ნარევი, ტანჯვა და ლხენა...
არ დაგივიწყებს შენ სამშობლო დავალებული,
დიდხანს გიგლოვებს საყვარელი ქართული სცენა"...

ძეგლზედ წარწერილი ეპიგრამმა.

როგორც მოსალოდნელი იყო, კვირას, 11 დეკემბერს, დაუვიწყარს და დიდად დამსახურებულ, ნიჭიერ მსახიობ ქალის ნატო გაბუნია-ცაგარლის ძეგლის კურთხევას მრავალი ხალხი დაესწრო. აქ შეხვდებოდით როგორც ადგილობრივ პრესის და კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს ისე ქართველთა ყოველ წოდების მრავალ პატივისმცემელთ.

ძეგლი აღმართულია კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, სადაც ნატოა დაკრძალული, განსვენებულ მწერალ მოღვაწე ქალის მარიამ დემურიას გვერდით. ამ სასაფლაოთა გარშემო საკმაოდ ფართო ადგილი შეუძენია და შემოუღობავს ქართ. დრამ. საზოგ. გამგეობას. საწყენია მხოლოდ, რომ ამ საერთო სავანეში, ნატოსვე გვერდით, არა მოჰყოლია მისი მეუღლე ჩვენი ცნობილი დრამატურგი ავქსენტი ცაგარელი, რომლის უძეგლო, სხვა საფლავებთა შორის მიტოვებული სამარე იმყოფება სულ 4—5 საჟენის დაშორებით.

ნატოს ძეგლი მნახველზე კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. იგი თეთრი მარმარილოს ქვისაგან არის აღმართული და ზედ გამოქანდაკებულია სამარისაკენ თავ-დახრილი, დაღონებული ქალი, რომელსაც მუხლებზე მდებარე ყვავილების გვირგვინი უჭირავს. ძეგლის ერთს გვერდზე ეპიგრამმათ ამოჭრილია ზემოდ მოყვანილი ლექსი,—„მადლობელ საზოგადოებისაგან". ძეგლის მეორე მხარეს რუსული წარწერაა: „Красѣ Грузинской сцены Н. Габуніи-Цагарели. 1858—1910 г.".

სადაც და შნოიანად მორთულ ძეგლს გარშემორტყმოდა მდუმარე საზოგადოება, რომელსაც, ისედაც დაღონებულს, გულში სწვდებოდა ხოროს კაეშნიანი სამგლოვიარო საგალობელი. იქაურს ნადვლიანობას

თითქოს მოღრუბლული ცაც იზიარებდა და ერთ ხანს თვის თეთრ პრეპეტილა ცრემლებით ნამავდა ღირსეულ ადამიანთა სავანეს.

ჯერ ჩვენ დროშიაც ნარ-ეკლითაა მოსილი, ცოტა არ იყოს, ნავალი გზა საზოგადო მოღვაწისა და ადვილად შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს, თუ ამ 30—50 წლის წინად რამოდენ დაბრკოლება-შეუგნებლობასთან მოუხდებოდა თავგანწირული ბრძოლა და ისიც სცენაზე გამოსულ მანდილოსანს; ამიტომაც საჭირო იყო ნატოსებურ იშვიათი მტკიცე ხასიათის და მოწოდების შეუდრეკელ რწმენის ადამიანი, რომ შეგნებულად არჩეულ გზიდან არ გადაეხვია და სამარის კარამდე პირნათლად მიეტანა საზოგადოებრივ სამსახურისათვის მაღლად აწეული დროშა...

შეხწყდა უკანასკნელი აკორდი ხოროს „განუსვენესი“ და ძეგლთან წარსდგა ჰაღარით მოსილი, სიმპატიური ფიგურა, არა-ნაკლებ დამსახურებული და საყვარელი მსახიობი, ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

მოკლე იყო ბ. მესხიშვილის მიმართვა დაკარგულ საუკეთესო ამხანაგსახიობ-ქალისადმი, მაგრამ ყოველმავე მის მიერ ხმის კანკალით გულის სილრმიდან წარმოთქმულმა სიტყვამ ბასრა-დანასებრ დაუარა მსმენელთ, უმრავლესობის თვალთაგან გამოიწვია ცრემლი და ამით ერთხელ კიდევ დაანამინა სამარე სამუდამოდ დაკარგულ უბადლო ამხანაგისა...

„ძვირფასო ამხანაგო და დაო ნატო!—სთქვა, სხვათა შორის, მესხიშვილმა,—ნეტამც წამოგახედა და შენის მიმქრალის თვალებით დაგანახვა, თუ აქ შენს გარშემო რამდენი შეყრილან. შენი ღვაწლის პატივისმცემელთაგანი, რომელთა გულშიაც არ გამქრალა ეროვნული გრძნობა და თავის მოღვაწეთა დაფასება. დაინახავდი, რომ ჩვენ ალგიმართეთ მარმარილოს ძეგლი... გაივლის ხანა და ეს ძეგლიც მოისპობა, მაგრამ შენის მადლიანის ნიჭის წყალობით და სამშობლოსათვის თავგანწირულ სამსახურით ალმართული ხელთუქმნელი ძეგლი სამუდამოდ დარჩება შენგნით დავალებულ, შენ მადლობელ თანამემამულეთა გულში“...

ვათავდა ძეგლის კურთხევა, სასაფლაოზე თავშეყრილი საზოგადოება ნელ-ნელა დაიშალა და გაითქვიფა. **გ. ახალციხელი.**

ხმა მოლითიდან

1 დეკემბერს, ბეთათუბნის ორკლასიან სკოლის ზედამხედველს ს. ღ—ძეს მეოთხე განყოფილების მოწაფისთვის უცემია. ყმაწვილი სკოლიდან გაქცეულა, ჩამჯდარა მატარებელში და გაუწევია... ბავშვის მამას ჰსურდა ადგილობრივ სასამართლოში განეცხადებინა ეს ამბავი, მაგრამ ორი დღის ძებნის შემდეგ ბავშვი იპოვნა.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება ყოველწლივ შვიდსა თუ რვა თუმანს იხდის სკოლის მოსამსახურის დასაქირავებლად, რამდენიმე წელია სკოლას მოსამსახურე არა ჰყავს, მისს მოვალეობას მოწაფენი ასრულებენ. შიმშილით გულ-გადადამებულ ბავშვებს გაკვეთილებს შემდეგ კლასებს აგვეინებენ, შეშასა და წყალს აზიდვინებენ. ეს მაშინ, როდესაც ბავშვებს 8—11 ვერსის სიშორიდან უხდებათ სკოლაში სიარული, ისიც კლდე-ღრეს და ადმართ-დადმართზე.

მასწავლებლები ხშირად სტოვებენ ყმაწვილებს უსადილოდ. წარმოიდგინეთ ბავშვის მდგომარეობა: ჯერ კიდევ გათენებული არ არის, რომ მიცუნცულებს სკოლისკენ, დაღამდება და სახლში მოვა; ე. ი. ისეთ დროს მიდის სახლიდან და შინაც ისეთ დროს ბრუნდება, რომ არც სადილის დროა და არც ვახშმისა და მოწაფე მუდამ ცივ საქმლით იკვებება. მე თვითონ გახლდით მოწმე ასეთ შემთხვევისა:

— რათ დაიგვიანე, ბიჭო, ამდენი ხანი?—ეკითხება დედა ჰატარა ვაჟს.

— რათა და, მასწავლებელმა „ბეზაბეზა“ დამტოვა.

— მერე ამდენი ხანი, ბიჭო?

— ხო!...

— რათ არა სჭამ, ბიჭო, საჭმელს?

— არ მინდა.

— რატომ?

— მასწავლებელმა მითხრა უსადილოდ იქნები დღესაო...

გამოირკვა, რომ მასწავლებელს ორგვარად დაუსჯია მოწაფე ყმაწვილი. ერთხელ ეთქვა: „ბეზაბეზა“, მეორედ: „უსადილოდ!“ ბავშვს კი ეს თავისებურად გაეგო. ასე რომ დიდის ბოდიშის და ხვეწნის შემდეგ დავითანხმეთ ბავშვი, რომ მისთვის მასწავლებელს სადილის ჭამა არ აუკრძალავს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კვლავისთვის მაინც სასურველად მოეწყობა ჩვენი სკოლა. **მოამბე.**

სამტრედიის ავ-კარგი

ამ ორი წლის წინად სამტრედიელთა შორის აღიძრა სურვილი დაარსებულიყო სცენის მოყვარეთა წრე. სურვილის სისრულეში მოსაყვანად მოწვეულ იქმნა საზოგადო კრება დაინტერესებულ პირთა, სადაც გამოიმუშავეს წესდება ხსენებულის წრისა. აირჩიეს კომისია და დიდის ზეიმით შეუდგნენ საქმეს. როგორც იყო დაბოლოვდა კიდეც საქმე და არჩეულმა კომისიამ წარუდგინა წესდება დასამტკიცებლად საზოგადო კრებას. კრებამაც წესდების ზოგი მუხლები დაამტკიცა და ზოგიც შესცვალა. ერთის სიტყვით, საქმე თითქმის ბოლომდის იყო მიყვანილი და მის გაჩარხვას ცოტა რამ აკლდა, რომ არჩეულ კომისიას არ დაჰვიწყებოდა მთავრობის მიერ წესდების დამტკიცება. ამავე დროს სახალხო წარმოდგენები სცენის-მოყვარეთა მიერ მაინც იმართებოდა. მოინდომა ადგილობრივმა წ. კითხ. გამგეობამ ჩასდგომოდა სათავეში სახალხო წარმოდგენების მართვას სამტრედიის რაიონში, ე- ი. არამც თუ დ. სამტრედიაში, არამედ სოფლებშიაც კი. მოიწვია სცენის მოყვარეთა და დაინტერესებულ პირთა კრება. წ.-კითხ. გამგეობამ მათთან ერთად შეიმუშავა სახელმძღვანელო გეგმა. კრებებს თითქმის თვე მოანდომეს და ბოლოს აირჩიეს წარმოდგენების მმართველი „სექცია“. ხსენებულ სექციის ბატონ-ბატრონი არის თვით წ.-კ. გამგეობა. ყველას იმედი ჰქონდა რაკი წ.-კ. გამგეობა ჩაერია სახალხო წარმოდგენების მართვაში, საქმე რიგზე მოეწყობაო. მაგრამ იმედი იმედად დარჩა და „სექციამ“ მოლოდინი ვერ გაამართლა: წარმოდგენები იშვიათად იმართება (6 თვის განმავლობაში მხოლოდ 3 წარმოდგენა გამართა), აკლია რეჟისორის ხელი. სცენის-მოყვარეები, ცხვირს მაღლა იწევენ და შეუფერებელ როლს დებულობენ.

„სექციამ“ დაადგინა, გამართოს 27 ოქტომბერს ილიას სადამო. თავის დადგენილება გამოაკრა სადგურის ბაქანზე, საზოგადოება სიხარულით შეხვდა ამ დადგენილებას. ამგვარად ყველა მოელოდა ილიას სალამოს. მაგრამ ილიას სალამო ჯერაც არ გამართულა და არც სექციას გაეხსენებია თავის დადგენილების აღსრულება. ამისთანა დადგენილებები ბევრი იყო, მაგრამ ოქმს არ გასცილებია.

საჭიროა მეტი საქმიანობა.

„ბუკი“

რუსეთ-სპარსეთის უთანხმოება

დეპეშები.

თავრიზი. გუშინდელმა სროლამ სერიოზული ხასიათი მიიღო. ფიდაები ჯერ ბანებიდან ისროდნენ, მერე ძლიერი იერიში მიიტანეს ბაგიჩემალზე, სადაც რუსთა ბანაკია, მაგრამ მსწრაფელ-მსროლელთა და არტილერიის საშუალებით რუსის ჯარმა მოიგერია. ფიდაები დაჭრილ რუსებს ჰკლავდნენ და უწყალოდ ექცეოდნენ, აწამებდნენ დაჭრილ კაზაკებსა და ჯარისკაცებს. შეშინებულნი რუსის ქვეშევრდომნი საელჩოში იმალებიან. ბანკში მომწყვდეულნი რუსის მოხელენი დილით ძლივს გაანთავისუფლეს. დილიდან დაწყებული რუსის ჯარის არტილერია შუაკულის სიმაგრეს ესვრის, ფიდაების მთავარ ბანაკს. ოთხმა როტამ ქალაქი მოიარა და გზა გაანთავისუფლა, რუსები მხნედ არიან.

აჯიჩაისთან ძლიერი სროლაა. აქ დაბანაკებულია თავრიზის გზის სამმართველოს შენობის დასაცავად კაზაკთა რაზმი. მთავარ საელჩოს იცავს 32 მსროლელი და 26 კაზაკი. მდივნის სახლში მოჰკლეს ერთი ჯარისკაცი, დასჭრეს აგრეთვე უნტერ-ოფიცერი და ოფიცერი.

ჯულფა. თავრიზში მყოფმა რუსის ქვეშევრდომებმა რუსის რაზმს შეეფარეს თავი. მდგომარეობა საშიშია. ლილას ჯულფას მოვიდა პირველი ეშელონი და კაზაკთა ერთი ასეული. ისინი თავრიზისაკენ გაემართებიან.

ბაკინი. ბალოკვაზს ახლო ოსმალნი 9 დეკემბერს თხრილებში ჩასაფრებულ იტალიელებს დაეცნენ, იტალიელებმა უზარალოდ მოიგერიეს მტერი.

ალექსანდრია. გემს „მენგალეს“ სტამბოლიდან ხოდეიდს გაგზავნილი 30 ათას გირვანქა ფოსტის კონვერტები წაართვეს და შემდეგ ნება მისცეს გზის განგრძობისა.

ტობრუკი. 9 დეკემბერს იტალიელებს დაეცნენ. ბრძოლა ექვს საათს გაგრძელდა. იტალიელებს 6 მოუკლეს (ამათში ოფიციერი) და 16 დაუჭრეს. ოსმალ არაბები დიდად დაზარალდნენ: იტალიელებს სამხედრო გემები ეხმარებოდა.

ვრობა ჩილისა და შანდუნში ჯარისთვის სურსათს ყიდულობს და თიანძინს მიაქვს. ჰატრიოტების მიერ განზრახული სესხი, ვერ მოხერხდება.

იტალიისა და ოსმალეთის ომი

დეპეშები.

კონგაზი. ბალოკვაზს ახლო ოსმალნი 9 დეკემბერს თხრილებში ჩასაფრებულ იტალიელებს დაეცნენ, იტალიელებმა უზარალოდ მოიგერიეს მტერი.

ალექსანდრია. გემს „მენგალეს“ სტამბოლიდან ხოდეიდს გაგზავნილი 30 ათას გირვანქა ფოსტის კონვერტები წაართვეს და შემდეგ ნება მისცეს გზის განგრძობისა.

ტობრუკი. 9 დეკემბერს იტალიელებს დაეცნენ. ბრძოლა ექვს საათს გაგრძელდა. იტალიელებს 6 მოუკლეს (ამათში ოფიციერი) და 16 დაუჭრეს. ოსმალ არაბები დიდად დაზარალდნენ: იტალიელებს სამხედრო გემები ეხმარებოდა.

მახოვა. ოსმალეთის გემი „კაისარიე“ იტალიელებმა დაატყვევეს, რადგან იგი საავადმყოფო არ გამოდგა.

რომი. „სტეფანის სააგენტო“ იუწყება: ტყუილია, ვითომც ოსმალებს ზანზური აეღოთ და იტალიელები გაერეკოთო.

გაზეთებიდან.

ლონდონი.

მალტიდან იუწყებიან, ავიატორმა ლუაზომ ოსმალთა გარიანის პოზიციები დაათვალიერაო. ოსმალებმა, თურმე, ჰაეროპლანს სროლა დაუწყეს და ოდნავ დააზიანეს კიდეც. მფრინავი იძულებული იყო უკან დაბრუნებულიყო.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

საზღვარ-ბარეულ.

10—11 დეკემბერი.

სტამბოლი. მინისტრებმა ხონთქარს ახალი წესი მიუდოცეს. ხონთქარმა ბრძანა, იმედი ბარტიები ერთმანეთში ქიშპობასა და უთანხმოებას თავს დანებებენო.

ტოკიო. კიოსნა ბარდამენტის 28 სესია. ბრეზიდენტად აირჩიეს ოკუქუძი. სხდომები 7 იანვარს დაიწყება.

რომი. არგენტინის წარმომადგენელმა ოფიციალურად კუნუცსა სინჯუდიანის, სკანრატინო წესები მოგსწეთო და ამნარად იტალია-არგენტინის უთანხმოება მოისპოთ.

ლონდონი. კანადიის სენატის ახალი სესია 29 დეკემბერს დაიწყება. გიგემარშალის კანდიტატად ასახელებენ ბერგმიშალის ეპისკოპოს ჩოხოიზს, დეგოვის მიტროპოლიტის ძმას. რეფერატის წევრად ნამუოფი გრაფი კანიერ შეტიტეკი ბენედიქტედან მინისტერში შეიდა.

დალნი. იაპონელებს ძალიან უსარგებლოთ რუსეთ-ამერიკის უთანხმოება, რადგან იაპონია-რუსეთის დასხდომებისთვის ნიადაგი მზადდება.

ბელგრადი. ბიუჯეტის განხილვის დროს ნაციონალისტი რადიკალი მოადგრობს უსაუბედურებდა კარკეულ ბალიტიკის უქონლობას და რუსეთის ეოდეედეარ რწმენის ბრმად ასრულებას. მარინკოვიჩმა განაცხადა, რუსეთის ბალიტიკა უტოდეედი არ არის, მაგრამ სერბიელები ეოდეედთვის ერთგულნი იქნებიან რუსეთისა. მიდგანოვიჩმა ადნიშნა, სერბიელთა და რუსთა ბედი კალსალარეულია, რუსეთის ბედი ტუალად არა გაქვსა.

დუნდი. ასკვიტმა ნაოსანდგურის კაფიტენი მუშები და მრეწველნი მარიგა. ხელფასი კალიდეს.

რუსეთი.

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს განსაკუთრებულმა კომისიამ მიიწონა სათობირის კანონ-პროექტი ადგილობრივ სასამართლოს დებულებათა ცვლილებისა საქმეთა კანონმეობის შესახებ.

მოსკოვი. ვორონეშმა ქალაქს მიწა და 30,000 მანეთი უანდერძა დარიბთა თავშესაფრის ასაგებად.

სამოსამართლო პალატამ მოსკოვის სოციალ-დემოკრატიის ფრაქციის საქმის კამა შემდეგი განაჩენი გამოიტანა: 14 კაცრად 4—7 წლამდე, 13—სამუდამო კალაზლვა და 14 1—2 წლამდე ციხე.

ოდესა. სამოსამართლო პალატამ ს. რეგოლიუციონერების საქმის კამა მიუსაჯა: ერთს—1 წლის კატორღა, მეორეს—4 წლისა, 4 სამუდამო კალასხდება, 8 კი გაამართლა.

მოსკოვი. კარდინალმა შეურაცხყოფა ბალტოფარტსკი.

პეტერბურგი. კამოქვეშეგებულია უმაღლესი ბრძანება, რომლითაც სახელმწიფო სათათბიროს სხდომები 10 დეკემბერს შესწყდება.

კიევი. სოფელ კრემკაში 1911 წელს 19 აპრილს მომხდარ ეწესოების კამა, რომლის დროს კლესებმა წინააღმდეგობა გაუწიეს მოდგილობას და ნება არ მისცეს, მათი სასონელი მემამულეთა სასაფლაოებიდან გაეტანეთ. სამოსამართლო პალატამ 5 კაცს ორის თვით ციხე მიუსაჯა, ორს—სამი კვირით.

იაროსლავი. საკუბერნიო სერობა კრებამ დაადგინა დაწესოს სამუდამო სასანიტარო საბჭო, დაარსოს ქალაქის გამგეობასთან სასანიტარო კანფოფილება და კალსალარეს ფული მოსამსახურეთა მოსწყვეტად. სასურველად იქმნა ადგილობრივი თვითეულ მაზრაში სანიტარი ექიმები იყოდეთ.

პერმი. საკუბერნიო სერობა კრებამ 100.000 მანეთი კალსალარ ხუთ მაზრაში 80 ეფსა სასალარეს მოწყობისთვის.

პოლტავა. საკუბერნიო სერობა კრებამ 10.000 მანეთი კალსალარ მოუსალდობისგან დაზარალებულთათვის შემწეობის ალმოსაჩენად.

პასუხად ბ-ნს

ი. გოგებაშვილს

„სახალხო გაზეთის“ 449 №-ში მოთავსებული იყო ბ-ნ ი. გოგებაშვილის ფელეტონი, რომელშიაც იგი, სხვათა შორის, „გუთნის“ შემდგენელთაც ეხება და ამბობს: „უნდა გამოვტყდეთ, რომ სრულიად სხვანაირად მოიქცნენ „გუთნის“ შემქმნელნი: გამოვიდა თუ არა მათი წიგნი, გამოაქვეყეს თავის გიმნაზიის ყველა კლასებიდან „ბუნების კარი“ და გაამეფეს მხოლოდ თავისი სახელმძღვანელო. ერთი გარემოება კი საჭიროდ ხდება „ბუნების კარის“ ხმარებასა ერთს რომელსამე განყოფილებაში მაინც. საქმე ის გახლავთ, რომ სამშობლოს გეოგრაფიის და ისტორიას ადგილი სრულიად არა ჰქონდა და არც ახლა აქვს „გუთნაში“. სამშობლოს გეოგრაფია და ისტორია კი საძირკველია მამულიშვილობისა, სული და გული სახელმძღვანელოსი. ერთსაც და მეორესაც „ბუნების კარში“ დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი. მიუხედავად ამისა „ბუნების კარს“ წილად არგუნეს ექსორია. „გუთნის“ შემდგენელნი თავისს გიმნაზიიდან კიდევ უფრო შორს წავიდნენ. ყოველი ლონე იხმარეს, რომ სადირექციო და სამრევლო სკოლებში „ბუნების კარის“ ნაცვლად შემოეღებინებინათ „გუთნანი“ და სადაც კი გულის წადილს ეწევნენ, ყველგან გაუქმდა საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის შესწავლა. ღმერთმა მშვიდობა მისცეთ; მაგრამ მშვიდობას ვერ ვუსურვებთ თუ მართალია ქუთაისიდან მოსული ხმა, ვითომც ის კრიტიკული წერილი, რომელსაც ეხლა ვარკვევთ და რომელიც სავსეა სიცრუით და ცილის წამებით, გამოვიდა „გუთნის“ შემადგენელის ხელიდანაო, და ესევე შემადგენელნი ცდილობენ ახალი ქრისტომატია პირადად გამოსცენ და სახალხო სკოლებში შეიტანონ მესამე წლიდან, რათა ბევრი გაყიდონო. თუ ეს მართალია, ცხადია, ხად არის ძაღლის კუდი დამარხული, და რომ გამოიწვიოს უსაზღვრო სიბრაზე, რომლითაც სავსეა კრიტიკანული წერილი“.

ხომ ხედავთ ბ. მკითხველო, როგორი საშინელი ბრალდებაა. მაგრამ ქვემო დაწერილიდან დაინახავთ, რომ ბ. გოგებაშვილი „გუთნის“ შემადგენელთ საწინააღმდეგო ბრალდებას მოჩვენებულსა და მოლანდებულს დანაშაულზე ამყარებს და გვიკვირს ამ გამოცდილ კალმოსნის ასეთი საქციელი. პირველად უნდა მოგახსენოთ ბ. იაკობ, რომ სახელმძღვანელო „გუთანი“ მაშინ შეადგინეთ და მივიღეთ სასწავლებელში სახმარებლად, როცა თქვენი „ბუნების კარიდან“ თქვენვე გაიძევეთ საქართველოს ისტორია და გეოგრაფია.*) გარდა ამისა, თვით „გუთნის“ შედგენა იმიტომ განვიზრახეთ, რომ „ბუნების კარი“, როგორც ქართული ენის სახელმძღვანელო, არ გვაკმაყოფილებდა არც ჩვენ და არც სხვებს და აბა რა გასაკვირველია, რომ ახლად შედგენილი სახელმძღვანელო სასწავლებელში სახმარებლად მივიღეთ. რაც შეეხება საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს სასწავლებელში საქართველოს გეოგრაფია არაოდეს არ გვისწავლებია „ბუნების კარით“. საქართველოს ისტორია კი ყოველთვის თქვენი სახელმძღვანელოთი ისწავლებოდა, სანამ მასში ისტორიული ნაწილი იყო. ხოლო როდესაც თქვენ იგი ამ სახელმძღვანელოდან განდევნეთ, ჩვენ ვეხოვეთ საქართველოს ისტორიის მასწავლებელს ბ. ს. ქვარიანს, შეედგინა ბავშვებისათვის, შესაფერი ისტორია. მან ეს შეასრულა. მისი სახელმძღვანელო სასწავლებლის კომისიამ მოიწონა როგორც უფრო ცოცხალი და ადვილ ენით შედგენილი, და ჩვენც იგი სასწავლებელში შევიტანეთ „ბუნების კარის“ საისტორიო განყოფილების მაგიერ. რა არის აქ გასაკიცხავი? არ გვესმის.

მეორე ბრალდება უფრო დიდია: თქვენ ბრძ. ნებთ, რადგანაც „გუთანში“ საქართველოს ისტორიას და გეოგრაფიას ადგილი არა აქვს, და ეს საგნები საძირკველია მამულიშვილობისა და შეადგენს სახელმძღვანელოს სულსა და გულს, „გუთნის“ შემადგენელთ არც მამულიშვილობა სწამთ და არც მისი წარმატებაო.

ხომ ამისი თქმა გნებავდათ ბატონო იაკობ? მაგრამ ნუ დაივიწყეთ, რომ ეს თქვენი ჩვეულებრივი მუქარის ხერხია მათ წინააღმდეგ, ვინც საპედაგოგო ასპარეზზე თქვენს ხელდაუსხმელად გაჰაჰანდება და თავის წვლილის გამომზეურებას შეუდგება. არავინ დაგიჯერებთ, რომ „გუთნის“ შემდგენელნი მხურვალე მოყვარულნი არ იყვნენ თავის ქვეყნისა და მსურველნი მისის წინსვლისა, აყვავებისა და ბედნიერებისა. ესეც უნდა ითქვის, ბ-ნო იაკობ, თუ ეს ორი საგანი მამულიშვილობის საძირკველია და სახელმძღვანელოს სულსა და გულს შეადგენს, რათ ინებეთ ერთ დროს „ბუნების კარიდან“ მათი განდევნა? რათ გამოაცალეთ „მამულიშვილობას“ საძირკველი და თქვენს სახელმძღვანელოს „სული და გული“? თუ როცა „გუთანი“ გამოვიდა, მაშინ გაგახსენდათ ეს მამულიშვილობა და „ბუნების კარში“ ხელახლავ შეიტანეთ საქართველოს ისტორია და გეოგრაფია! აქ კი, ბ. იაკობ, ორივე ფეხებით გაბმული ბრძანდებით მახეში და სჯობია, გამოტყდეთ. ამასთანავე ნება გვიბოძეთ ვიფიქროთ, რომ ან „გუთნის“ ვითომდა სახელის გასატეხად ალადგინეთ „ბუნების კარში“ „სამამულიშვილო“ განყოფილება, ან წინასწარმეტყველური ზეშთაგონებით მიხვდით, რომ ჩვენ შორის ოდესმე ასეთი ახირებული საპოლემიკო მიზეზი დაიბადებოდა და მამულის მოღალატეობის დაწამებით მიწასთან გაგვასწორებდით.

მესამე ბრალდება მეორეზე არა ნაკლებია: „გუთნის“ შემდგენელთ ყოველი ლონე იხმარეს, რომ სადირექციო და სამრევლო სკოლებში „ბუნების კარის“ ნაცვლად „შემოეღებინებინათ“ „გუთანი“ და სადაც გულის წადილს ეწევნენ, ყოველგან გაუქმდა საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის შესწავლაო. ძალიან ვწუხვართ, რომ ასეთი უკადრისი იკადრეთ! როცა ლაპარაკობთ „ყოველი ლონე იხმარესო“, უექვლად ამით გინდათ მკითხველს

*) იხ. გამოცემა 1906 წლისა.

რუსეთ-ჩინეთის რევოლუცია

დეპეშები.

ხარბინი. 30 ხუნხუზმა 170 ათასი დიაო გაიტაცა, ხაზინის მიერ გირონს გაგზავნილი.

ჩიფუ. ყუმბარების გაკეთების დროს აფეთქება მოხდა: სამი მოკვდა, 10 დაშავდა.

ლონდონი. ტყუილია, ვითომც იაპონიასა და ინგლისს განეზრახოთ ჩინეთის მთავრობას დახმარება გაუწიონ. ორივე სახელმწიფო სცდილობს, ჩინეთში ისეთი სახელმწიფო ფორმა დამყარდეს რაც ხალხის ნდობაზე იქნება დამყარებული.

შანხაი. თაონ შაიმ დეპეშით აცნობა იუანშიკაის, რესპუბლიკის გამოცხადებას დავთანხმდეთო, მაგრამ უარი მიიღო.

კიახტა. ურგაში დაარსეს დროებითი კომიტეტი მონგოლეთის სამმართველოდ ექვსის მთავრისა და დალაი-ლამას ერთის წარმომადგენლისაგან. კაბინეთის შედგენასაც აპირებდნენ. ხუტუხტას ტახტზე აყვანისათვის ემზადებიან, მთავარნი გროვდებიან, მონგოლეთის ჯარიც მოდის.

მუკდენი. ყოველის მხრით ამბავი მოდის, ხუნხუზები მკვიდრთ აწიოკებენ და სძარცვავენო...

პეკინი. საკონსტიტუციო პალატამ გადასწყვიტა ზავის ვადა გაადიდოს და ბრძოლის დაწყებას ხელი შეუშალოს, თუნდაც 18 დეკემბერს მოლაპარაკება ვერ გათავდეს. მთავრობა ჩეილისა და შანდუნში ჯარისთვის სურსათს ყიდულობს და თიანძინს მიაქვს. ჰატრიოტების მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფიქრებინოთ, რომ აქ რაღაც საიდუმლო იმალებაო, ალბად „გუთნის“ ავტორებმა უკადრისი და უზნეო რამ საშუალება იხმარეს, რომ ოცდაათი წლის განმავლობაში გამეფებული „ბუნების კარი“ უცებ ხმარებიდან გამოდევნესო, ალბად ან ჭრთამი მისცეს ვისმე, ან მოისყიდეს, ან მეგობრობით და ნაცნობობით მოახერხეს ესაო. მერე რატომ არ დაასახელებთ, ბ-ნო იაკობ, რა დონე ვიხმარეთ? უკეთესი არ იქნებოდა დაგესახელებინათ ეს დონე, რომ მკითხველის გონებაში ეჭვი არ დაგებადათ ჩვენის ზნეობისა და ნამუსის შესახებ! ჩვენ იმ დონეს მივმართეთ „გუთნის“ გასავრცელებლად, რომელსაც თქვენ არაოდეს არ სჯერდებოდით თქვენ სახელმძღვანელოების გასავრცელებლად. გავუგზავნეთ ოლქის მზრუნველს და ვთხოვეთ გაერჩიათ და ნება დაერთოთ სკოლებში სახმარებლად. ოლქმა მიანდო თქვენს ნაცნობ კრუპენიკოვს, რომელმაც სახელმძღვანელო ძლიერ მოიწონა და ეს მოწონება წარუდგინა ოლქის სამზრუნველოს, აგრეღვე მივეცით სასულიერო მთავრობასაც; შემდეგ გაზეთებში გამოვაცხადეთ წიგნის მოწონება და მისი გაყიდვა. გვიბრძანეთ, ღვთის გულისთვის, განა ეს საშუალება დასაძრახისია? ამასთანავე, თურმე, სხვა საშინელი დანაშაულობაც ჩაგვიდენია: სადაც სახელმძღვანელო „გუთანი“ მიუღიათ, იქ საქართველოს გეოგრაფიისა და ისტორიის შესწავლა გაუქმებულა. ბატონო იაკობ, ეს ზოგადი ფრაზაა და კარგი იქნებოდა კონკრეტულად დაგესახელებინათ, სახელდობრ, რომელ სასწავლებელში მოისპო „გუთნის“ შემოღებით ზემოხსენებულ საგნების სწავლება? დაგვისახელეთ, რომელ სოფლისა ან ქალაქის სკოლაში ისწავლებოდა საქართველოს ისტორია და გეოგრაფია და ახლა კი ჩვენის მიზეზით იგი სად გაუქმებულა? ვიდრე ამას არ დაასახელებთ, სრული უფლება გვაქვს, თქვენი ბრალდება სიმართლეს მოკლებულად ჩავთვალოთ. რაიცა შეეხება ისტორიის შესწავლის გაუქმებას, ესეც სიმართლეს მოკლებულია: როგორც ზემოდ ვთქვით, ბ. ს. ქვარიანმა შეადგინა სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიისა, რომელიც ერთი წლის განმავლობაში ოთხ ათასამდე გაიყიდა; აქედან ისა სჩანს, რომ საქართველოს ისტორიის შესწავლა ჩვენს ქვეყანაში კი არ შემცირებულა, არამედ გავრცელებულა და გავრცელებულა. გარდა ამისა, ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ერთმა მასწავლებელმა შეადგინა საქართველოს ჩინებული გეოგრაფია, რომელიც ამ ცოტახანში დაიბეჭდება და გამოიცემა. როგორ ჰფიქრობთ, ბ-ნო იაკობ, გვქონია საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლის გაუქმების სურვილი? ვგონებ ამას არავინ დაგვწამებს და თუ დაგვწამებს მხოლოდ თქვენი სახელმძღვანელოების ჭირისუფალი, რომელიც ქუთაისიდან ტფილისს „მოსულ ხმაზე“ ამყარებს ჩვენს წინააღმდეგ საზიზღარ ბრალდებას.

დარჩა კიდევ ერთი ბრალდება, თუ ამას ეს სახელი ეწოდება. ქუთაისიდან ხმა მოვიდაო, ვითომც კრიტიკული წერილი, „კოლხიდა“-ში, მოთავსებული და „პედაგოგის“ ხელმოწერილი, „გუთნის“ შემდგენელთა ხელიდან გამოსულიყოსო: ვიმეორებთ კიდევ: გვიკვირს, როგორ კადრულობთ, ქუჩაში გაგონილს ხმაზე ბრალდების დამყარებას! ასე რომ ვიაროთ და ქუჩის ხმებს დავუჯეროთ, ჩვენც შეგვეძლო ბევრი რამ თქვენს შესახებ გვეთქვა, მაგ., ჩვენც გავიგონეთ, რომ „განათლების“ რედაქტორმა სთხოვა ერთს ფრიად ნიჭიერსა და გამოცდილს მასწავლებელს დაეწერა „გუთნის“ შესახებ რეცენზია და, როცა ეს რეცენზია გაიგზავნა „განათლების“ რედაქციაში დასაბეჭდად, იგი არ დაიბეჭდა, რადგან ეს რეცენზია გოგებაშვილს არ მოეწონაო; ისიც გვეთხრეს, რომ ალმოსავლეთ საქართველოში ბ-ნ გოგებაშვილის ქვეშევრდომნი ცდილობენ „გუთანი“ კორტახს იქით არ გააჭაჭანონო, და ბევრი ამგვარი—მაგრამ ჩვენ ეს არა გვჯერა და არც დავიჯერებთ. ბოლოს აი რას მოგახსენებთ, ბ-ნო იაკობ: ჩვენ პატივსა გცემთ წარსულ შრომისათვის, მიგრამ იმისთვის კი არ გცემთ პატივს, რომ თქვენის სახელმძღვანელოების მოსარჩლეობით გატაცებული სცდილობთ სხვისი პიროვნებაცა და შედგენილ სახელმძღვანელოც საზოგადოების თვალში სრულიად უსაფუძვლოდ დაამცირონთ.

„გუთნის“ შემდგენელნი: ა. ოცხელი, თ. მთავრიშვილი, ხ. ყიფიანი.

თეატრი და ხელოვნება

დღეს **ზუბალაშვილის სახალხო სახლში** დ. ბაქრაძის 10 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად დანიშნულია საბენეფისო წარმოდგენა. დასდგამენ „ქოჩრიან ტოროლას“ და „დედის ერთას“.

წერილი რედ. მიმართ

განსვენებულ ნიკოლოზ ზებედეს ძის ცხვედაძის ხსოვნის აღსანიშნავად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სოფ. კავთისხევის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ მივიღეთ: ხუთი მანეთი ბ-ნ ლუარსაბ ბოცვაძისაგან და ერთი თუმანი იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისაგან, რომელთაც უღრმეს მადლობასა ვწირავთ შემომწირველთ.

ბიბლიოთეკის სამზრუნველოს წევრი
არ. ჯაჯანაშვილი.

განცხადებანი

აგენტი
მ. ა. გაქონია

დამუშავებს განცხადებებს როგორ(ადგილობრივ, იხვ საპატრო ქალაქების გაზეთებისათვის. განცხადების მიმღებ აგენტთან ლ. ე. მეტლიხა და ამბ. და ნაალბიონეფრო ხაზოგ. „ანონახასა“ რკინის გზის სადგურებზე, გემებზე და ტრამვაებზე ბლაკარტების გაკვრის საქმეში.

მისამართი: ტფილისი, სახტუმრო „იმ ბერიალი“, კიროჩნისა და მიხეილის ბრლბ. კუთხე; ტელეფონი—N 925.

მიღება ყოველ დღე დილის 8—9 ს. და საღამოს 4—5½ საათამდე.

მუხრანის კერძო
სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ა. ა. **გაბაშვილი**—შინაგან სნეულებანი, დილის 10—11 ს.-დე.

გ. ს. **გოგობერიძე**—შინაგან და ბავშვებ., დილის 11—12 ს.-დე.

ს. კ. **ალხელიანი**—დედათა სნეულებ., დილის 10-ნახევრიდან 11 ს.

ს. ლ. **ზარეიანერი**—ყელისა და ყურისა, 11 ნახ.—12 ნახ. ს.

ლ. გ. **ხაფაგარელიძე**—შინაგან და ბავშვებ., 12 ნახ.—1 ს.-დე.

ალშვილი—შინაგან, 1—2 ს.-დე.

გ. ბ. **მელიქიანი**—ქირურგ., 12—1 საათამდე.

ა. ი. **გრიგორიანი**—ქირურგ. 11—12 ს.-დე.

ვ. ა. **ბაბიერდოვი**—შინაგან, 12 ნახ.—1 ნახ. ს.-დე.

ს. ლ. **კილიხანიძე**—ქირურგ. 12 ნახ.—1 ს.-დე.

ალში—კბილისა, 8—10 ს.-დე.

ს. ვ. **მიკირტუმოვი**—დედათა სნეულებანი და საბებიო, 1 ნახ.—2 ს.-დე.

ათაშვილის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata) „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექ. ბისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

№ 646. 100—50 (0—1003—192

დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძველის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. **ნავასარდიანი**: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. ს. **ჩაქოვანი**: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანოვი**: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. **ფულანი**: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

ს. გ. **ავეტისიანი**: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. ს. **ბუგინოვი**. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

ქალ. ექიმ. ბ. ხ. ზალბერშაი: 12 ნახ.—1 ს. საბებ., ქალ. და ბავშვებისა.

ბ. ი. **გურგენოვი**: 1—1 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ა. ბ. **კარაბეტიანი**: 1—11/2 ს. შიგან. და საბავშვო.

ბ. ვ. **ბაბანოვი**: 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. ბ. ხ. ზალბერშაი: 6—6 ნახ.-ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ბ. ვ. **ავეტისიანი**: 6—7 საათ.

11—12 ს. **606** წამლობა, **კონსულტაციურად.**

რჩევა 50 კ. დარიგებებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. **ნავასარდიანი.**

(ქ. (1168—201)

(40—1465—37)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ადაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 საათამდე.

ვ. ვ. **ვნუკოვი**—ქირურგიულ სნეულ.—ნაშუად. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ა. ნ.—შინაგან, ნერვებისა, სულით-ავადმყოფთ. ელექტროთერაპია დილის 11—12 საათამდე.

კომინტი ვ. ჰ.—ქირურგიული სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მალაკიანი ვ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ბ. დ. **კალმიკოვისა-ვნუკოვისა**—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. ჩრჩვის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(100—1615—5)

გამოცდილმა
მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა—მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. — **მიღებულია პირობებით**: გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, **როგორც** სავალო ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე. საბებიო ინსტიტუტისთვის. სამხედრო და სტენოგრაფიკა ხასწავლებლისთვის.

აგრეთვე გაააგრძელებს მიღებას:

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატელეგრაფო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე**, ყველა კლასის **ჩინისთვის**. ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძველის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები—მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8-საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ **ხარჯზედაც, პანსიონში**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1 входъ съ подъѣзда нижній звонокъ спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. N 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(т. 1084.45-

ექიმი ა. ნ. დიასამიძე
კანისა და **ვენერიულ** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 9—ს. საღამ. 6—7 ს. ნუთმაბათოვით მზოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავად. მყოფებს არ იღებს. მაზარეულის ქ. N ხაბლი ბაბაშვილისა.

ექიმი კბილისა
ალ. ხოლოლაშვილი
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—ს საათ. და ხ.ღ. 5—7 ს-მდე. ბოლოვინის ბრ., N 12. ხაბლი მდინარისა.

ვ ი ლ ი ნ ი
საეკლესიო სამხატვრო საქმეებს. მსურველთ შეუძლიანთ მომმართონ
სოფ. პრიუტში, მანგლისის გზა. ტფილისის მაზრა, **მხატვარი მღვდელი მელიტონ ყანჩაველი.**

(23—958—14)

გამოვიდა და იყიდება
თხზულებანი:

არჩილ ჯორჯაძისა: წ. I. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“, ფ. 75 კ.
„ „ წ. II. „ჩვენი ხასიათ-ფიზიკური“. . . ფ. 80 კ.
„ „ წ. III. „ნაბერვი“ . . . . . ფ. 65 კ.
„ „ წ. IV. წერილები „ცნობის-ფურცელ-მოამბიდან“, 1901—1902 წ. . . . . ფ. 35 კ.
Batu-ისა: „ერი და კაცობრიობა“ . . . . . ფ. 1 მ. 20 კ.
ვ. ყიფიანისა: „ხამეგრელოს მთავარი ლევან“, ისტ. დრამა ფ. 40 კ.
ნ. ფიუკაშვილისა: „მეგობრობა“, 4 მოქმ. დრამა . . . . ფ. 20 კ.

ყველა ამ წიგნების შეძენა შეიძლება სხვათა შორის ქ. შ. წ. ს. ქ. ბ. წიგნის მაღაზიაში, ტფილისში და ქუთაისში კვიცარიძისა და მთავრიშვილის წიგნის მაღაზიებში.

ყოველად გაუმჯობესებული
მოლაპარაკე მანქანა
კატეფონი

ძმ. პატე პარიზში. ფირფიტები უნიმესოდ უკრავს.

ორმხრივი 28 სანტ. ყოველის ეტიკეტით . . . . 1 მ. 75 კ.
ორმხრივი 28 სანტ. წითელის ეტიკეტით . . . . 1 მ. 30 კ.
ყველა ადგილობრივი ჰანგებისა . . . . 1 მ. 30 კ.

ნუ შეიძენთ გრამაფონს, ვიდრე არ შეიარაროთ **ძმ. პატეს** ადგილობრივ წარმომადგენელ

პარლ ოუმანთან,

გოლოვინის პროსპექ., № 10, ხაკრებულოს ქვეშ.

რამდენიც გნებავთ მოისმინეთ სხვა და სხვა ფირფიტების ჰანგი, სეიდვა სავალდებულო არ არის.

გარანტიას ვიძლევით, ფასის ნაწილ-ნაწილ გარდახდაც ეიძლება.

ფასები საძარხნოა.
კატალოგები უფასოდ.

(3—1595—2) **ტელეფონი № 939.**

„სოლრაპნის“ გამოცემა.
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად

კედლის კალენდარი 1912 წლისა,
შედგენილი გრიგოლ ჩარკვიანის მიერ.

კალენდარში სხვა და სხვა სასარგებლო ცნობათა გარდა მოთავსებულია მრავალი სურათები ჩვენი საზოგადო მოღვაწეებისა. **კალენდრის კარდინი დაბეჭდილია სხვა და სხვანაირი ფერადის ხალებებით ლიტოგრაფიაში სუფთად და ლამაზად შეკრულია ოუნუქით, რომ ახევის დროს არ დაიბნეს.** ✦ ფასი კი ისევ ძველებურია 40 კაპ. ✦

დაბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად „სახალხო. კალენდარი“ მ. გაჩეჩილაძის შედგენილი. ფასი 20 კ პარტიობით მყიდველებს დავთმობათ პროცენტები“. ადრესი: Тифлисъ Типографія „Сорапань“, М. Гачечиладзе. (20.1594.12

საუკეთესო საფოსტო
საჩუქარი!

ნამდვილი გრამოფონია ის, რომელსაც აქვს **მარკა**

„მფერავი ამური“

საგანგებოდ მომავალ დღესასწაულებისათვის გასასყიდად დავამზადეთ **ახალ-ახალი, საუცხოოდ შესრულებული საუკეთესო მომღერალთა სიმღერები:** ბაგრატასი, კავსაძისა, ამერიძისა, ტომაშევიჩისა, თ-დ ფალავასი და სხვა გამოჩენილ მომღერალთა

უფასოდ მოიკითხეთ

ჩვენი ახალ-ახალ სიმღერების **ფირფიტები აპპარატებისა**

საზ. „გრამოფონი“,

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტი, № 9, და

ქუთაისში—ჩვენს წარმომადგენელ ა. რ. თ ა ბ ა ბ ა რ თ ა ნ.

(10—1635—1).

სტამბა „შორაპანი“ მიდათოვის კუსძული

რედაქტორ-გამოცემელი: ალ. ბერიძელაშვილი.